ბრძანება:**ბ76. 7624148001**
თარიღი:**27/05/2024**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად მერის თანაშემწის ლერი გელოვნიშვილის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე; 54-ე; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ამბროლაურის მუნიპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ლერი გელოვნიშვილი.

2. მერის თანაშემწე ლერი გელოვნიშვილმა უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა უზრუნველყოს:

3.1. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევა;

3.2. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი;

3.3. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

3.4. სამსახურისგან კონსულტაციების მიღება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის

წარმომადგენლობა სამსახურთან ურთიერთობაში, სამსახურის მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

3.5. მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში, მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

3.6. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულება.

4. ბრძანების მე-2 პუნქტით - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განსაზღვული პირი ანგარიშვალდებულია მხოლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრიდან, აგრეთვე მისი შეცვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და პროაქტიულად გამოქვეყნდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ambrolauri.gov.ge

6. ამ ბრძანების შესაბამისად 2024 წლის 01 ივნისიდან ცვლილება შევიდეს ლერი გელოვნიშვილთან დადებულ შრომითი ხელშეკრულებაში.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

8. ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 01 ივნისიდან.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი